


"შეთანხმებულია" სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი _____ “ ” “ 2026 წ.	„ვამტკიცებ“ შპს „ცეკური“-ს დირექტორი ბექა ხაბულიანი  2026 წ.
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ცეკური“ ასფალტ-ბეტონის ქარხანა (მცხეთის რაიონი, სოფელი ძეგვი, ს/კ 72.11.05.302, 72.11.05.303, 72.11.02.057, 72.11.05.279, 72.11.05.006, 72.11.05.406) ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევების ნორმების პროექტი შემსრულებელი: შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია“ 2026	

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტს, რომელშიც დეტალურადაა განხილული საწარმოს ფუნქციონირების შედეგად ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ნაშრომი შესრულებულია “გარემოსდაცვითი კოდექსის” და “ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ” საქართველოს კანონების და მათგან გამომდინარე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, საწარმოს განვითარების პერსპექტივის, ადგილის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის პარამეტრთა და გაბნევის ანგარიშის გათვალისწინებით, დაბინძურების თითოეული წყაროსა და თითოეული მავნე ნივთიერებისთვის დადგენილია ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი წარმოადგენს მეცნიერულ-ტექნიკურ დოკუმენტს, რომლითაც დგინდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების განსაზღვრული რაოდენობა იმ პირობით, რომ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციები ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს შესაბამისი მავნე ნივთიერებებისთვის დადგენილ კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები დგინდება 5 წლის ვადით დაბინძურების სტაციონარული წყაროების მაქსიმალური შესაძლო სიმძლავრით დატვირთვის პირობებისთვის.

სარჩევი

გვერდი

ანოტაცია.....	1
ძირითად ტერმინთა განმარტებანი	3
1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ	4
2. საწარმოს განლაგების რაიონის კლიმატური დახასიათება	5
2.1. კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები	5
2.2. გარემოს დაბინძურების მდგომარეობა	6
3. ტექნოლოგიურ პროცესთა მოკლე აღწერა	10
3.1. ტექნოლოგიური სქემა და რეგლამენტი	10
3.2. მოთხოვნები ბუნებრივ და ენერგეტიკულ რესურსებზე.	19
4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მაჩასიათებელი სიდიდეები	20
5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში.	22
6. მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროების დახასიათება	54
7. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიში, მიღებული შედეგები და ანალიზი	63
7.1. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშისთვის გამოყენებული კომპიუტერული პროგრამა და გაანგარიშების ამონაბეჭდის მოკლე დახასიათება	63
7.2. ელექტროგამომთვლელ მანქანაზე გაბნევის გაანგარიშების შედეგების ანალიზი	64
8. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმები	65
9. ზდგ-ს ნორმები ხუთწლიან პერიოდში მთლიანად საწარმოსათვის	68
10. გამოყენებული ლიტერატურა	69
დანართი:	70
- საწარმოს გენ-გეგმის სქემა	71
- საწარმოს განლაგების სიტუაციური რუკა-სქემა	72
- მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის მონაცემები	73

ძირითად ტერმინთა განმარტებანი

- ა) "ატმოსფერული ჰაერი" – ატმოსფერული გარსის ჰაერი, შენობა-ნაგებობებში არსებული ჰაერის გარდა;
- ბ) "მავნე ნივთიერება" – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნებისმიერი ნივთიერება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;
- გ) "ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება" – ადამიანის საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში ნებისმიერი ნივთიერების გაფრქვევა, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე;
- დ) "მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყარო" – ობიექტი, რომლიდანაც ხდება მავნე ნივთიერებათა გამოყოფა (ტექნოლოგიური დანადგარი, აპარატი და სხვა);
- ე) "მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყარო" – ობიექტი, რომლიდანაც ხდება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტა და სხვა);
- ვ) "დაბინძურების წყარო" – მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ან (და) გაფრქვევის წყარო;
- ზ) "მავნე ნივთიერებათა ორგანიზებული გაფრქვევა" – მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა სპეციალურად გაკეთებული მოწყობილობებიდან (საკვამლე მილი, სავენტილაციო შახტა და სხვა);
- თ) "მავნე ნივთიერებათა არაორგანიზებული გაფრქვევა" – მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა არამიმართული ნაკადის სახით (დანადგარების ჰერმეტიულობის დარღვევის, ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ადგილებში გამწოვი დანადგარების არადაამკაყოფილებელი მუშაობის და საერთოდ მათი არარსებობის დროს და ა.შ.).
- ი) ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაცია დროის გარკვეული გასაშუალებული პერიოდისათვის, რომელიც პერიოდული ზემოქმედებისას ან ადამიანის მთელი ცხოვრების მანძილზე არ ახდენს მასზე და საერთოდ გარემოზე მავნე ზემოქმედებას.
- კ) საშუალო დღე-ღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია დღე-ღამის განმავლობაში აღებული სინჯების კონცენტრაციათა მნიშვნელობების გასაშუალოებით.
- ლ) მაქსიმალური ერთჯერადი ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია – ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების მაქსიმალური კონცენტრაცია, რომელიც განსაზღვრულია 20-30 წუთიან დროის ინტერვალში ერთჯერადად აღებულ სინჯების კონცენტრაციის მნიშვნელობების მიხედვით.
- მ) "ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმა" – ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროდან მავნე ნივთიერებების გაფრქვევის დადგენილი რაოდენობა, გაანგარიშებული იმ პირობით, რომ დაბინძურების ამ წყაროსა და სხვა წყაროების ერთობლიობიდან გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა კონცენტრაცია ატმოსფერული ჰაერის მიწისპირა ფენაში არ აღემატებოდეს კონცენტრაციის ზღვრულად დასაშვებ ნორმას;

1. ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

ზოგადი ცნობები საწარმოო ობიექტის შესახებ მოცემულია ცხრილ 1.1-ში.

ცხრილი 1.1.

ძირითადი მონაცემები საწარმოს საქმიანობის შესახებ

#	მონაცემთა დასახელება	დოკუმენტის შედგენის მომენტისათვის
1.	ობიექტის დასახელება	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ცეკური”
2.	ობიექტის მისამართი: ფაქტიური: იურიდიული:	მცხეთის რაიონი, სოფელი ძეგვი, ს/კ 72.11.05.302, 72.11.05.303, 72.11.02.057, 72.11.05.279, 72.11.05.006, 72.11.05.406 საქართველო, ქ. თბილისი, ხიზაბავრის ქ.N1
3.	საიდენტიფიკაციო კოდი	209442174
4.	GPS კოორდინატები	X- 469394: Y-4632626;
5.	ობიექტის ხელმძღვანელი: გვარი, სახელი ტელეფონები: ელ. ფოსტა:	ბექა ხაბულიანი 511 19 19 00 info@enseco.ge
6.	მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე:	89 მ.
7.	ეკონომიკური საქმიანობა:	სამშენებლო მასალების წარმოება
8.	გამოშვებული პროდუქციის სახეობა	ასფალტი
9.	საპროექტო წარმადობა:	ასფალტი:124800 ტ/წელ; 96000 მ³/წელ ინერტული მასალის გადამუშავება; 57600 მ³/წელ ბეტონის ხსნარი; 5 200 ტ/წელ ბიტუმის ემულსია; 2600 მ³/წელ ბლოკი.
10.	მოხმარებული ნედლეულის სახეობები და რაოდენობები:	10400 მ³/წელ ინერტული მასალი, ბიტუმი 8736 ტ/წელ, მინერალური ფხვნილი 5616 ტ/წელ. ცემენტი 22360 ტ/წელ. 600 კგ/წელ შედუღების ელექტროდი, ემულგატორი 21 ტ/წელ, გოგირდმჟავა 21 ტ/წელ.
11.	მოხმარებული საწვავის სახეობები და რაოდენობები:	1 061 320 მ³/წელ ბუნებრივი აირი.
12.	სამუშაო საათების რაოდენობა წელიწადში	2080 საათი
13.	სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	8 საათი

2. საწარმოს განლაგების რაიონის კლიმატური დახასიათება

2.1. კლიმატურ-მეტეოროლოგიური პირობები

საწარმო განთავსებულია მცხეთის მუნიციპალიტეტში. მცხეთის რაიონი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისიდან დასავლეთით, შიდა ქართლის ზეგანზე, ზღვის დონიდან 500-800 მ სიმაღლეზე. შიდა ქართლის ზეგანზე ჰავა ზომიერად ნოტიოა (სამხრეთით – ნახევრად მშრალი), ზამთარი ზომიერად ცივია, ხოლო ზაფხული ცხელი. წლის ყველაზე ცივი თვის – იანვრის საშუალო ტემპერატურაა $2-0^{\circ}\text{C}$, ხოლო წლის ყველაზე ცხელი თვის – ივლისისა $22-24^{\circ}\text{C}$. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმების მრავალწლიური საშუალოა -16°C , ხოლო ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმების მრავალწლიური საშუალოა 34°C . ნალექების საშუალო წლიური რაოდენობაა 500-700 მმ. ნალექების მაქსიმალური რაოდენობა მოდის მაისში, მინიმალური კი – იანვარში.

სოფელ ძეგვისა და მისი მიდამოებისთვის, ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელის რეგულარული დაკვირვების მონაცემების მიხედვით, წლის ყველაზე ცივი თვის – იანვრის საშუალო ტემპერატურაა $(-1,1^{\circ}\text{C})$, ხოლო წლის ყველაზე ცხელი თვის – ივლისისა $22,1^{\circ}\text{C}$. ყველაზე ცხელი თვის ტემპერატურების მაქსიმუმების მრავალწლიური საშუალოა $28,7^{\circ}\text{C}$, ხოლო ყველაზე ცივი თვის ტემპერატურების მინიმალური მრავალწლიური საშუალოა $(-5,5^{\circ}\text{C})$.


ქარის სხვადასხვა მიმართულებების განმეორადობა შემდეგნაირად ნაწილდება: ჩრდილოეთის – 2%, ჩრდილო აღმოსავლეთის – 8%, აღმოსავლეთის – 31%, სამხრეთ აღმოსავლეთის – 7%, სამხრეთის – 2%, სამხრეთ დასავლეთის – 1%, დასავლეთის – 32%, ჩრდილო დასავლეთის – 17%. უქარო შემთხვევათა რაოდენობა (შტილი) – 39%-ია.

მცხეთის რაიონში ნალექების წლიური რაოდენობა შეადგენს 516 მმ-ს. ნალექების მთავარი მაქსიმუმი მაისშია (100 მმ-მდე). ყველაზე მშრალი თვეა იანვარი, როცა ნალექების რაოდენობა 20 მმ-ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება ნალექების სეზონურ განაწილებას, ამ მხრივ მცხეთის რაიონისთვის დამახასიათებელია უხვნალექიანობა ზაფხულში და მცირენალექიანობა ზამთარში.

ქარის რეჟიმი

მცხეთასა და მიდამოების დაბალ ზონებში ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 2.4 მ/წმ უდრის. უფრო ძლიერი ქარები იცის გაზაფხულზე – მარტსა და აპრილში (2.8 მ/წმ), შედარებით სუსტი – შემოდგომა-ზამთარში (1.7-2.0 მ/წმ). ხოლო ქარის მაქსიმალური სიჩქარე დაიკვირება მარტში (15 მ/წმ).

ქარის სხვადასხვა მიმართულებებისა და შტილის განმეორადობა მოცემულია ცხრილ 2.2-ში და ნახაზ 1-ზე.



ნახ. 1 ქარის მიმართულებების განმეორადობა (პროცენტებში)

ცხრილი 2.2

ქარის სხვადასხვა მიმართულებების განმეორადობა

ჩ	ჩა	ა	სა	ს	სდ	დ	ჩდ	შტელი
2	8	31	7	2	1	32	17	39

ნაღებები

საკვლევი რეგიონის საშუალო წლიური ნაღებების ჯამი 555 მმ-დან 608 მმ-დე მერყეობს. ნაღებების მთავარი მაქსიმუმი მაისშია (78მმ-დან 149 მმ.დე). ყველაზე მშრალი თვე იანვარია, როცა ნაღებების რაოდენობა 19-39 მმ-ის ფარგლებში მერყეობს. რაც შეეხება ნაღებების სეზონურ განაწილებას, ამ მხრივ დამახასიათებელია შედარებით უხვნაღებოება წლის თბილ პერიოდში (აპრილი-ოქტომბერი, 279მმ) და მცირენაღებოება წლის ცივ პერიოდში (ნოემბერი-მარტი, 103მმ).

2.2. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მდგომარეობა

საქართველოს მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში, სხვადასხვა პერიოდებში ფუნქციონირებდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე რეგულარულ დაკვირვებათა ქსელის საგუშაგოები (პოსტები) და მათზე წარმოებდა რიგი მავნე ნივთიერებების ატმოსფერული კონცენტრაციების ყოველდღიური სამჯერადი გაზომვა, ხოლო იმ დასახლებული პუნქტებისათვის, სადაც აღნიშნული მიმართულებით გაზომვები არ ტარდებოდა, დაბინძურების შესაბამისი მონაცემების დადგენა ხორციელდებოდა

მოსახლეობის რაოდენობაზე დაყრდნობის საფუძველზე, ქვეყანაში მიღებული მეთოდური რეკომენდაციების შესაბამისად. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შეიზღუდა სრულყოფილი დაკვირვებების წარმოების შესაძლებლობა. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში საგრძნობლად დაეცა ადგილობრივი სამრეწველო პოტენციალი და შესაბამისად, ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების ჯამური მახასიათებლების მნიშვნელობებიც. აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად, მიზანშეწონილია ადრინდელი რეკომენდაციებით განსაზღვრული მონაცემებით სარგებლობა, გარემოს პოტენციური დაბინძურების მახასიათებლების დასადგენად – დასახლებული პუნქტის ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის განვითარების პერსპექტივით, იმაზე გაანგარიშებით, რომ რეალურად შესაძლებელია ადრინდელი პერიოდისათვის უკვე მიღწეული გარემოს დაბინძურების მაჩვენებლების მიღება – შეჩერებული ან უმოქმედო საწარმოო პოტენციალის სრული ამოქმედების შემთხვევისათვის.

ჰაერის დაბინძურებაზე გავლენის მქონე მეტეოპარამეტრებისა და სხვა ძირითადი მახასიათებლების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილ 2.2.1-ში.

აღსანიშნავია, რომ მავნე ნივთიერებების საშუალო კონცენტრაციების მნიშვნელობებთან ერთად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის დახასიათების მიზნით გამოიყენება კონკრეტული ადგილმდებარეობის ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების ფონური კონცენტრაციები – დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციათა ის მაქსიმალური მნიშვნელობები, რომელზე გადამეტებათა დაკვირვებების რაოდენობა არის მრავალწლიანი(არანაკლებ 5 წლის პერიოდის) რეგულარული დაკვირვებების მთლიანი რაოდენობის 5%-ის ფარგლებში. ფონური კონცენტრაციების მნიშვნელობები განისაზღვრება ცალ-ცალკე შტილისათვის(ქარის სიჩქარის მნიშვნელობა დიაპაზონში 0-2მ/წმ, რომელიც ხასიათდება დაბინძურების ერთ-ერთი ყველაზე არასასურველი ეფექტით) და ქარის სხვადასხვა გაბატონებული მიმართულებებისათვის. სამწუხაროდ, ყველა დასახლებულ ტერიტორიებზე არ ხერხდება სრულფასოვანი რეგულარული დაკვირვებების ორგანიზაცია და შესაბამისად, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების დონის ფაქტობრივი მნიშვნელობების განსაზღვრა. იმის გამო, რომ როგორც წესი, შედარებით პატარა ქალაქებში და მცირემოსახლეობიან დასახლებულ პუნქტებში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე დაკვირვებები პრაქტიკულად არ ტარდება. ასეთი ტერიტორიებისათვის, მავნე ნივთიერებებით ადგილმდებარეობის ატმოსფერული ჰაერის ფონური დაბინძურების მახასიათებლების დადგენა ხდება ქვეყანაში მიღებული წესით, რომელიც ეფუძნება დასახლებულ ტერიტორიაზე მოსახლეობის საერთო რაოდენობის მაჩვენებელს და ითვალისწინებს იმ ზოგად საწარმოო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ინფრასტრუქტურას, რომლის ფუნქციონირებაც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია შესაბამისი დასახლებებისათვის (ცხრილი 2.2.2).

ატმოსფეროში დამაბინძურებელი ნივთიერებების გაბნევის პირობების გამსაზღვრელი
მეტეოროლოგიური მახასიათებლები და კოეფიციენტები

მახასიათებლების დასახელება	მახასიათებლის მნიშვნელობა
ატმოსფეროს ტემპერატურული სტრატეფიკაციის კოეფიციენტი	200
რელიეფის კოეფიციენტი	1.0
წლის ყველაზე ცხელი თვისას ჰაერის საშუალო ტემპერატურა	22.1
წლის ყველაზე ცივი თვისას ჰაერის საშუალო ტემპერატურა	-1.1
საშუალო ქართა ვარდის მდგენელები, %	
ჩრდილოეთი	2
ჩრდილო-აღმოსავლეთი	8
აღმოსავლეთი	31
სამხრეთ-აღმოსავლეთი	7
სამხრეთი	2
სამხრეთ-დასავლეთი	1
დასავლეთი	32
ჩრდილო-დასავლეთი	17
ქარის სიჩქარე (მრავალწლიურ დაკვირვებათა გასაშუალოებით), რომლის გადაჭარბების განმეორადობაა 5%, მ/წმ	6.2

ცალკე უნდა შევხვით ატმოსფერული ჰაერის მტვრით დაბინძურების საკითხს. დასახლებული ტერიტორიების მტვრით დაბინძურების პრობლემების განხილვა აქტუალობას იძენს იმის გამო, რომ ატმოსფერული ჰაერის ამ დამაბინძურებლის წარმოშობა არ არის განპირობებული მხოლოდ ანთროპოგენური ფაქტორებით. ამ ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანია ბუნებრივი პროცესების შედეგად წარმოქმნილი და შემდგომ ატმოსფეროს ცირკულაციურ-დინამიკური პროცესებითა და მეტეოროლოგიური მოვლენებით მიღებული შედეგების ანალიზი და შეფასება.

ფონური კონცენტრაციებისათვის დადგენილი მნიშვნელობები დასახლებული
ტერიტორიებისათვის მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით

მოსახლეობის რიცხვი (ათასი მოსახლე)	მავნე ნივთიერება			
	მტვერი	გოგირდის დიოქსიდი	აზოტის დიოქსიდი	ნახშირჟანგი
1	2	3	4	5
ნაკლები 10-ზე	0	0	0	0
10-50	0.1	0.02	0.008	0.4
50-125	0.15	0.05	0.015	0.8
125-250	0,2	0.05	0.03	1.5

საწარმოო საქმიანობის ფუნქციონირებისას, კონკრეტულ საწარმოო მაჩვენებლებზე

დაყრდნობით, მოცემული ობიექტისათვის, გარემოში მავნე ნივთიერებათა გამოყოფის (ატმოსფეროში გამოფრქვევის) ზღვრულად დასაშვები ნორმატივების(შესაბამისად – ზდგ) პროექტების დამუშავება საშუალებას იძლევა დაბინძურების ყოველი კონკრეტული წყაროსათვის დადგინდეს მავნე ნივთიერებათა ემისიის რაოდენობა და ინტენსიობა. დაგეგმილი საქმიანობის საწარმოო ციკლის შესაბამისად, საჭიროა შეფასებული იქნას საქმიანობის ობიექტისაგან მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში გამოფრქვევა.

აქედან გამომდინარე, მავნე ნივთიერებათა ატმოსფერულ ჰაერში ზღვრულად დასაშვები გამოფრქვევების პროექტების დამუშავება საშუალებას იძლევა განხორციელდეს დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შედეგად ბუნებრივი გარემოს ხარისხობრივი ნორმების დაცვის შეფასება.

3. ტექნოლოგიური პროცესის მოკლე დახასიათება

3.1 ტექნოლოგიური სქემა და რეგლამენტი

შპს „ცეკური“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა ფრაქციის ასფალტ-ბეტონის წარმოება, ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია დამატებითი საქმიანობებისთვის გამოყოფილი უბნები, მათ შორის: ბლოკის, ბიტუმის ემულსიის, ბეტონის დასამზადებელი საამქროები. კომპანიის კუთვნილ ავტომობილებს ემსახურება დიზელის გასამართი სადგური და ავტომობილების სარემონტო ბოქსები.

საწარმოს ფაქტობრივი წარმადობა არის 60 ტ/სთ, ხოლო 8 სთ-იანი რეჟიმისა და 260 სამუშაო დღის გათვალისწინებით, 124 800 ტ/წელ.

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებული ქარხანა, მოდელი-DC-18563 განკუთვნილია ასფალტის ნარევის მოსამზადებლად, რისთვისაც იგი უზრუნველყოფილია საჭირო დანადგარებითა და დამხმარე ინფრასტრუქტურით. დანადგარი მუშაობს ბუნებრივ აირზე.

პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიური პროცესები მოიცავს შემდეგ ოპერაციებს:

-  მასალების მიღებას (ბიტუმი, ღორღი, ქვიშა, მინერალური ფხვნილი);
-  მიღებული მასალების ხარისხის კონტროლს;
-  მასალების დროებით დასაწყობებას;
-  მასალების წინასწარ მომზადებას;
-  პროდუქციის დამზადებას;
-  მზა პროდუქციის ხარისხის კონტროლს;
-  პროდუქციის დატვირთვას სატრანსპორტო საშუალებებზე და გატანას საწარმოს ტერიტორიიდან;

სხვადასხვა ფრაქციის ინერტული მასალა ავტოდამტვირთველით (გამოიყენება კომპანიის საკუთრებაში არსებულ სამსხვრევი დანადგარიდან მიღებული ინერტული მასალა) ჩაიტვირთება ასფალტის საწარმოს, ოთხ განყოფილებიან მიმღებ ბუნკერში (თითოეულის მოცულობა 10 მ³) პირველი ბუნკერში ბუნებრივი 0-5 მმ, მეორე ბუნკერში ნამსხვრევი 5-10მმ, მესამე ბუნკერში 10-20 მმ და მეოთხე ბუნკერში 20-40 მმ ფრაქციები.

მიმღები ბუნკერიდან 2 ერთეული ლენტური ტრანსპორტიორით (ერთი ერთეული ლენტური ტრანსპორტიორი: სიგრძე - 15 მ, სიგანე- 0,5 მ) და მეორე ერთეული ლენტური ტრანსპორტიორი: სიგრძე - 10 მ, სიგანე- 0,5 მ) ინერტული მასალა გადაეცემა მბრუნავი ღუმელის მიმღებ ძაბრს, საიდანაც მასალა გაშრობის მიზნით გადადის საშრობ დოლში სადაც ხდება მასალის გაცხელება 150-180°C ტემპერატურაზე ბუნებრივი აირის საშუალებით, მასალებში შემავალი ნესტის შემცველობა იწევს მინიმუმამდე, რაც განსაზღვრავს პროდუქტის საბოლოო ხარისხს.

საშრობ დოლში ინერტული მასალის გაცხელების შედეგად ხდება მტვრის ნაწილაკების გამოყოფა რომელიც მტვერდამჭერი ფიტრების საშუალებით შემდგომში გამოიყენება

ასფალტის წარმოებისათვის.

გაშრობის შემდგომ ინერტული მასალა ცხელი ელევატორის მეშვეობით აიტვირთება ვიბროცხავზე. ვიბროცხავი ასრულებს მექანიკური გაფილტვრის ფუნქციას - მასალა ნაწილდება სხვადასხვა ფრაქციებად და ჩაიტვირთება ცხელი მასალების მიღებ ბუნკერებში (20 ტ) , მიმღები ბუნკერებიდან ინერტული მასალები ზუსტი წონებით ჩაიტვირთება სასწორში, დოზირებული რაოდენობა გადაეცემა ასფალტშემრევ დანადგარს, სადაც მიმდინარეობს ძირითადი ტექნოლოგიური პროცესი.

აღნიშნულ ეტაპზე, წინასწარ გაცხელებულ და აწონილ ინერტულ მასალასთან ერთად ასფალტ შემრევში ასევე ჩაიტვირთება ბიტუმი, მინერალური ფხვნილი და ფილტრაციის მტვერი.

ასფალტშემრევში ხდება ინტენსიური მორევა. მორევის პროცესის დასრულების შემდეგ, ასფალტშემრევი დანადგარიდან მიიღებული უკვე მზა პროდუქცია-ასფალტი ჩაიტვირთება დროებით შემნახველ ბუნკერში (60ტ) რომლიდანაც ხდება ავტოთვითმცლელელებზე დატვირთვა ტრასპორტირებისა და საგზაო საფარის მოწყობისათვის.

პროცესის მიმდინარეობა კონტროლდება ავტომატიზებული მართვის სისტემის საშუალებით.

მინერალური ფხვნილის მიღება-შენახვა ხდება 25 მ³. ტევადობის ვერტიკალურ სილოსში, რომელიც აღჭურვილია ფილტრაციის სისტემით (ქსოვილოვანი ფილტრი).

ტექნოლოგიური პროცესისთვის საჭირო ბიტუმის მიღება-მომზადება/გაცხელება და შენახვას უზრუნველყოს ბიტუმის მიღება-მომზადების 1 ერთეული 25 ტ-იანი ჰორიზონტალური რეზერვუარი, რომელიც ცხელდება ბუნებრივი აირით (25 მ³/სთ), ტემპერატურის შენარჩუნებისთვის აქვს ზეთის „პერანგი“ (გაფრქვევის მილის სიმაღლე - 7 მ, დიამეტრი 200 მმ) და ერთი ერთეული 300 ტონა მოცულობის ბეტონიზირებული ბიტუმსაცავი (გადახურული და შემოსაზღვრული);

ბიტუმი ტერიტორიაზე შემოიზიდება სპეციალიზირებული ავტოცისტერნებით რომლებიც აღჭურვილია საცხელებელი მილებით, გასაცხელებლად ტერიტორიაზე მოწყობილია 9 ცალი გამაცხელებელი ბუნებრივი აირის სანთურა, ერთდროულად შესაძლებელია სამი ბიტუმშიდის გაცხელება (თითოეულ მანქანას აცხელებს 3 ერთეული ბუნებრივი აირის სანთურა) ბუნებრივ აირის ხარჯი - 24 მ³/სთ- 1 ავტომანქანის გაცხელება (8-12 სთ);

გაცხელებული ბიტუმი სპეციალური ბიტუმის ტუმბოს მეშვეობით პირდაპირ იტვირთება 300 ტონა მოცულობის ბეტონიზირებული ბიტუმსაცავში, ხოლო იმ შემთხვევაში თუ საჭიროა ბიტუმის გადატვირთვა 25 ტ-იან ჰორიზონტალური რეზერვუარში, გაცხელებული ბიტუმი ბიტუმშიდიდან გადაიტვირთება 0,5 ტ მოცულობის ლითონის რეზერვუარში, სადაც შეკვეთისამებრს დაემატება ადჰეზიური დანამატი და შემდგომ გადაიტვირთება 25 ტ-იან ჰორიზონტალური რეზერვუარში, საიდანაც მიეწოდება ასფალტშემრევ დანადგარს.

300 ტონა მოცულობის ბეტონიზირებული ბიტუმსაცავში, მოწყობილია ბიტუმის გასაცხელებელი კამერა, სადაც ბუნებრივი აირის საშუალებით ხორციელდება ბიტუმის მუშა მდგომარეობამდე გაცხელება (24 მ³/სთ ბუნებრივი აირის ხარჯი, 49 920 მ³/წელ); საშრობი დოლიდან, ჩამჩებიანი ელევატორიდან, მინერალური ფხვნილის სილოსიდან გამოყოფილი მტვერი გაიწოვება მტვერდამჭერ სისტემაში, ასფალტბეტონის დანადგარი აღჭურვილია მტვრის სამსაფეხურიანი გამწმენდი მოწყობილობებით: პირდაპირი დინების ღერძული ციკლონით, ჯგუფური ციკლონით და სველი მტვერდამჭერით, რომელთა ჯამური ეფექტურობა 99,85%-ია.

საბოლოოდ მტვერდამჭერი სისტემის შემდეგ დარჩენილი არაორგანული მტვერი და ნამწვი აირები ატმოსფეროში გამოიფრქვევა მილის საშუალებით. (17 მ. 0,793მ დიამეტრი). მტვერი გროვდება 8 ტ მოცულობის ბუნკერში, პერიოდულად იცლება და გამოიყენება წარმოებაში.

ასფალტის დანადგარის ტექნოლოგიური პროცესი ავტომატიზირებულია და მისი მართვა ხორციელდება სპეციალური სამეთვალყურეო კაბინიდან, ოპერატორების მეშვეობით.

ასფალტის რეცეპტი:

124 800 ტ/წელ

0-5 მმ	54 912 ტ/წელ
5-10 მმ	27 456 ტ/წელ
10-20 მმ	19 968 ტ/წელ
20-40 მმ	11 232 ტ/წელ
მინერალური ფხვნილი	5 616 ტ/წელ
ბიტუმი (+ ადჰეზიური დანამატი 1ტ +4 კგ) 22.5 ტ/წელ	5 616 ტ/წელ

ინერტული მასალის სამსხვრევ -დამახარისხებელი დანადგარი № 1

სათანადო კარიერი(ებ)დან/მომწოდებელი ობიექტებიდან ნედლეული თვითმცლელების საშუალებით შემოვა საწარმოო ტერიტორიაზე პირდაპირ ჩაიტვირთება მიმღებ ბუნკერში (45 მ³).

ბუნკერიდან ინერტული მასალა, ვიბროძრავების საშუალებით გადადის როტორულ სამსხვრევში (წარმადობა 30 მ³/სთ);

შეკვეთისამებრ როტორული სამსხვრევიდან, მასალის გამომტანი ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით (სიგრძე 6 მ სიგანე 1მ) 0-40 მმ ფრაქცია გადადის ლენტურ ტრანსპორტიორზე (სიგრძე 14მ სიგანე 1მ) და დასაწყობდება 100 მ² ტერიტორიაზე.

როტორული სამსხვრევიდან მასალის გამომტანი ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით (სიგრძე 6მ სიგანე 1მ) ინერტული მასალა გადადის ლენტურ ტრანსპორტიორზე (სიგრძე 25 მ სიგანე 1 მ), რომლის საშუალებით მასალა გადადის საცერში, რომლის გავლის შემდგომ 5-10 მმ ფრაქცია ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით (სიგრძე 16 მ სიგანე 1მ) დასაწყობდება 100 მ² ტერიტორიაზე, 12-20 მმ

ფრაქცია ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით (სიგრძე 16 მ სიგანე 1 მ) დასაწყობდება 100 მ² ტერიტორიაზე,

0-5 მმ ფრაქცია წყლის ჭავლის საშუალებით გადადის ქვიშის სარეცხ დანადგარში, შემდეგ ლენტური ტრანსპორტის (სიგრძე 16 მ სიგანე 1 მ) დასაწყობდება 100 მ² ტერიტორიაზე.

საცერიდან 10-20 მმ ფრაქცია ლენტური ტრანსპორტის (სიგრძე 25 მ სიგანე 1 მ) საშუალებით, დასამუშავებლად უბრუნდება როტორულ სამსხვრევს.

სამსხვრევი დანადგარის წარმადობაა 30 მ³/სთ-ში, ხოლო 260 დღიანი წელიწადში, 8 საათიანი სამუშაო დროით, წლიურ წარმადობაა 62 400 მ³/წელ.

ინერტული მასალის სამსხვრევ -დამახარისხებელი დანადგარი № 2

სათანადო კარიერი(ებ)დან მომწოდებელი ობიექტებიდან ნედლეული თვითმცლელეების საშუალებით შემოვა საწარმოო ტერიტორიაზე და ჩაიტვირთება მიმღებ ბუნკერში (20 მ³); ბუნკერიდან ინერტული მასალა, ვიბროძრავების საშუალებით გადადის საცერში (წარმადობა - 30 მ³/სთ);

საცერიდან > 5 მმ ფრაქცია ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით (სიგრძე 12 მ სიგანე 1,5მ) დასაწყობდება 70 მ²;

საცერიდან 0-5 მმ ფრაქცია წყლის ჭავლის საშუალებით გადადის ქვიშის სარეცხ დანადგარში, შემდეგ ლენტური ტრანსპორტის (სიგრძე 10 მ სიგანე 1 მ) დასაწყობდება 100 მ² ტერიტორიაზე.

სამსხვრევი დანადგარის წარმადობაა 20 მ³/სთ-ში, ხოლო 260 დღიანი წელიწადში, 8 საათიანი სამუშაო დროით, წლიურ წარმადობაა 41 600 მ³/წელ.

სასაქონლო ბეტონის კვანძი:

საწარმოო ტერიტორიაზე (ს/კ 72.11.05.302) განთავსებულია ბეტონის კვანძი, რომლის წარმადობაა 30 მ³/სთ. ასევე განთავსდება ერთი ერთეული წყლის რეზერვუარი (62 მ³), 62 მ³ მოცულობის ერთი ერთეული ცემენტის სილოსი, 10 მ სიგრძის ლენტური კონვეიერი, ორი ერთეული, 9-9 მ³ მოცულობის მიმღები ბუნკერი და შემრევი დანადგარი.

ბეტონის კვანძის წარმადობა საათში 30მ³/სთ-, წელიწადში - 62 400 მ³/წელ .

წარმოება ავტომატიზებულია და ხორციელდება რეცეპტურის შესაბამისად. ბეტონის საწარმოებლად საჭირო ფრაქციის ინერტული მასალებით მომარაგება ხდება ტერიტორიაზე არსებული ქვიშ- ხრემის საწყობიდან.

საწარმოო ტერიტორიაზე, ს/კ 72.11.02.057, განთავსებულია:

- ბიტუმსაცავი (4 ერთეული 40 ტ მოცულობის ჰორიზონტალური რეზერვუარი);
- მექანიკური სახელოსნო;
- საქვაბე;
- ბიტუმის ემულსიის საწარმო;

- ბეტონის ნაკეთობების უბანი და საშრობი;
- ბლოკის და ბორდიურების დამამზადებელი საწარმო;
- ორი ერთეული დიზელგასამართი სადგური;
- ავტოსამრეცხაო;
- ავტომობილების შეკეთების უბანი;

ბიტუმის ემულსიის საწარმოო უბანი

ბიტუმზიდებით შემოტანილი ბიტუმი, იტვირთება ბიტუმის რეზერვუარებში, ბიტუმის ემულსიის საწარმოს ემსახურება 2 ერთეული ბიტუმის რეზერვუარი.

ბიტუმის ემულსიის დამზადება ხორციელდება ავტომატიზირებული საწარმოს მექანიზმებითა და მართვის პულტით, რომელიც შედგება ბიტუმის, წყლის, გოგირდმჟავას და ემულგატორების დახურული ავზებისაგან და გადამტვირთი მილებისაგან, დამზადებული ბიტუმის ემულსია, იტვირთება ავტოცისტერნებში. ტემპერატურული რეჟიმი უზრუნველყოფილია საქვაბე მეურნეობიდან.

ემულსიის საწარმო სრულად ავტომატიზებულია.

ემულგატორი, მარილმჟავა და სტაბილიზატორი საწარმოში შემოდის მწარმოებლის შეფუთვები.

საწარმოო პროცესში არ წარმოიქმნება ტექნოლოგიური ჩამდინარე წყალი, ვინაიდან აღებული წყლის ფაზა, სრულად რეაგირებს ბიტუმთან და ხდება საბოლოო პროდუქტის ნაწილი.

ემულსიის საწარმო ამზადებს ნარევს საგზაო სამუშაოებისათვის, რომელიც გამოიყენება ასფალტის საფარის დაგებამდე გრუნტის ფენის დასაფარად. საწარმოს წარმადობაა 2.5 ტ/სთ-ში (დღის განმავლობაში დამზადებული მაქსიმალური რაოდენობა 20 ტ, წელიწადში 5 200 ტ).

ემულსიის წარმოების პროცესი ავტომატიზებულია, იგი უზრუნველყოფილია საჭირო დანადგარებითა და დამხმარე ინფრასტრუქტურით (ბიტუმის სამარაგო რეზერვუარებით, წყალმომარაგების სისტემით, ემულსიის შემრევი აპარატით). ემულსიის ერთ-ერთი ძირითად კომპონენტს, რომელიც სხვა კომპონენტების მსგავსად დოზირებულად, რეცეპტურის შესაბამისად ემატება შემრევეში, წარმოადგენს თხევადი კონსისტენციის ემულგატორი და მარილმჟავა. მარილმჟავას და ემულგატორის ტერიტორიაზე შემოტანა ხდება ლითონის ავზებით. მზა ემულსია პირდაპირ გაიტანება საწარმოდან.

ცხრილი 3.1.1 სულ ჯამურად საჭირო ნედლეულის რაოდენობა.

ნედლეულის დასახელება	ნედლეული	%
ემულსია	5200 ტ	100
ბიტუმი	3120 ტ	60

ემულგატორი	21 ტ	0.4
გომგირდმჟავა	21 ტ	0.4
წყალი	2038 ტ	0.40

საქვაბე

საქვაბე მუშაობს ბუნებრივ აირზე, აღჭურვილია 3 ტ მოცულობის საქვაბე დანადგარით (30 მ³/სთ, ბუნებრივი აირის ხარჯი) გაფრქვევის მილის სიმაღლე 12 მ, დიამეტრი 300 მმ.

მუშაობს დღეში 3 სთ, წელიწადში 260 დღე და ემსახურება როგორც ბიტუმის ემულსიის საწარმოს ისე, ბეტონის ნაკეთობების საშრობს (მოთხოვნისამებრ);

ბუნებრივი აირის წლიური ხარჯი დღეში 3 სათიანი და წელიწადში 260 სამუშაო დღით შეადგენს 23400 მ³/წელ.

ბეტონის ნაკეთობები

ბეტონმზიდებით შემოიზიდება ბეტონი, მოთავსდება ყალიბებში და შრობა მიმდინარეობს ან ბუნებრივად, ან (ნაკეთობის სისქის მიხედვით) საშრობ უბანზე, საშრობი მუშაობს საქვაბე მეურნეობიდან წამოუხლი ცხელ ორთქლზე.

რკინა-ბეტონის კონსტრუქციებისთვის საჭირო არმატურის შედუღება ხორციელდება ადგილზე.

ბლოკის წარმოება

ბლოკის საამქროს წარმადობა 1.25 მ³ /სთ-ში. მუშაობს 260 დღე, დღეში 8 სთ.

ტერიტორიაზე იწარმოება საკედლე ბლოკები და ჩამკვეტი ბორდიურები, რომელთა დასაწყობება და შრობა ხორციელდება ბუნებრივ პირობებში ფარდულის ტიპის სათავსში. ბლოკის საამქროს აქვს 23 ტ მოცულობის ცემენტის სილოსი და 8 მ სიგრძის, 0.6 მ-ის დიამეტრის ლენტური კონვეიერი.

ბლოკის წარმოებისთვის საჭირო ნედლეული, ქვიშ-ხრეში შემოდის N1 ნაკვეთზე არსებული სამსხვრევებიდან.

1 მ³ ბეტონის ნარევის რეცეპტურა ბლოკის დასამზადებლად:

ცემენტი - 200 კგ;

ქვიშა - 1800 კგ;

წყალი - 70 ლ.

1 მ³ ბეტონის ნარევის რეცეპტურა ბორდიურების დასამზადებლად:

ცემენტი - 330 კგ;

ქვიშა - 1800 კგ;

წყალი - 70 ლ.

დღის განმავლობაში წარმოებული მაქსიმალური რაოდენობა 10 მ³ პროდუქციით.

საამქრო ამზადებს 800-1000 სხვადასხვა ზომის საკედლე ბლოკსა და 250-260 ჩამკეტ ბორდიურს, დღეში.

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია დიზელის ორი ერთეული გასამართი სადგური, 10-10 ტონიანი სამარაგო ავზით, რომლებიც აღჭურვილია ერთი ერთეულია ჩასასხმელი სამარჯვით, დიზელგასამართი სადგურები ემსახურება მხოლოდ საწარმოს კუთვნილ ავტომობილებს და გასცემს წელიწადში 2 400 000 ლ დიზელის საწვავს.

საწარმოს ავტოპარკს სარემონტო სამუშაოებისთვის ემსახურება ტერიტორიაზე მოწყობილი ბოქსები, სადაც ხორციელდება საბურავებისა და საპოხი საშუალებების გამოცვლა, დაზიანებული ნაწილების შეკეთება, ტექნიკური დათვალიერება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ავტომობილების გამართული ფუნქციონირება. საამქროში ხორციელდება შედუღებითი სამუშაოები. წლიური ელექტროდების რაოდენობა შეადგენს 600 კვ/წლ.

3.2. მოთხოვნები ბუნებრივ და ენერგეტიკულ რესურსებზე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “ცეკური” საწარმოს საქმიანობა გათვლილია როგორც საქართველოს სანედლეულ ბაზის გამოყენებაზე, ასევე სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ ნედლეულზე. გარემოზე ზემოქმედების შეფასების მიზნით საჭიროა გაანგარიშებულ იქნეს ბუნებრივი და მატერიალური რესურსების ხარჯი, რომელიც შეიძლება იყოს მავნე ნივთიერებების ატმოსფერულ ჰაერში გამოფრქვევების გაანგარიშების საფუძველი. უპირველეს ყოვლისა დადგენას მოითხოვს ერთეული პროდუქციის მისაღებად საჭირო ნედლეულის ხვედრითი ხარჯების მახასიათებელი.

104000 მ³/წელ ინერტული მასალი, ბიტუმი 8736 ტ/წელ, მინერალური ფხვნილი 5616 ტ/წ. ცემენტი 22360 ტ/წელ, ემულგატორი 21 ტ/წელ, გოგირდმჟავა 21 ტ/წელ.

4. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები

ცხრილ-4.1-ში მოცემულია საწარმოში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების კოდი,

ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები, გაფრქვევის სიმძლავრეები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 4.1.

მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

მავნე ნივთიერების დასახელება	კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ³		საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
1	2	3	4	5
არაორგანული მტკერი: 20%-მდე SiO ₂	2909	0.5	0.15	3
შეწონილი ნაწილაკები	2902	0.5	0.15	3
მანგანუმის დიოქსიდი	143	0,01	0,001	2
ნახშირწყალბადები	2754	1.0	-	4
აზოტის დიოქსიდი, (NO ₂)	301	0.2	0.04	2
ნახშირჟანგი	337	5	3	4

აღნიშნული მახასიათებლების – საწარმოს ფუნქციონირების მონაცემების ანალიზის საფუძველზე დადგენილი – გარემოს უმთავრესი დამაბინძურებელი წყაროებია:

1. ასფალტ-ბეტონის შემრევი მოწყობილობა DC-18563 (გ-1);
2. მინერალური ფხვნილის სილოსიდან (გ-2);
3. ბიტუმის ბიტუმსაცავი (გ-3);
4. ბიტუმის გამაცხელებელი ღუმელი (გ-4);
5. ბიტუმის სახარში რეზერვუარი (გ-5);
6. ბიტუმის ავტოცისტერნებში გაცხელება (გ-6, გ-7, გ-8);
7. მიმღები ბუნკერი (გ-9);
8. ლენტური ტრანსპორტირიდან (გ-10);
9. ცემენტის ცემენტის სილოსში მიღება (გ-11);
10. ინერტული მასალების (ქვიშა, ღორღი) მიმღებ ბუნკერი (გ-12);
11. ქვიშის ლენტური ტრანსპორტიორი (გ-13);
12. ბეტონშემრევეში ჩატვირთვა და მორევა (გ-14);
13. 30 მ³/სთ წარმადობის სამსხვრევის ბალასტის ბუნკერი (გ-15);
14. 30 მ³/სთ წარმადობის სამსხვრევი (გ-16);
15. ქვიშის ლენტური ტრანსპორტიორი (გ-17);
16. ღორღის ლენტური ტრანსპორტიორი (გ-18);
17. ქვიშის საწყობი (გ-19);

18. ღორღის საწყობი (გ-20);
19. 20 მ³/სთ წარმადობის სამსხვრევის ბუნკერი (გ-21);
20. 20 მ³/სთ წარმადობის სამსხვრევი (გ-22);
21. ქვიშის ლენტური ტრანსპორტიორი (გ-23);
22. ღორღის ლენტური ტრანსპორტიორი (გ-24);
23. ქვიშის საწყობი (გ-25);
24. ღორღის საწყობი (გაფრქვევის წყარო გ-26);
25. ბლოკის საამქრო სილოსი (გ-27);
26. ინერტული მასალების (ქვიშა) მიმღები ბუნკერი (გ-28);
27. ქვიშის ლენტური ტრანსპორტიორი (გ-29);
28. ინერტული მასალებისა და ცემენტის ბეტონშემრევში ჩატვირთვა და მორევა, (გ-30);
29. ბიტუმის რეზერვუარები (გ-31);
30. ბიტუმის ემულსიის საწარმო (გ-32);
31. საქვაბე (გ-33);
32. დიზელის საწვავის შენახვა და რეალიზაცია (გ-34, გ-35);
33. ელექტროშედულებითი აპარატი (გ-36);
34. ლითონის საჭრელი ჩარხები (გ-37).

5. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

საწარმოდან გაფრქვეული ჰაერის ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებებია:

არაორგანული მტვერი, შეწონილი ნაწილაკები, მანგანუმის დიოქსიდი, ნახშირწყალბადები, აზოტის ორჟანგი და ნახშირორჟანგი. ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის საანგარიშო მეთოდების და საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

5.1 ემისია ასფალტ-ბეტონის შემრევი მოწყობილობა DC-18563;

ასფალტ-ბეტონის მიიღება ხორციელდება ტექნოლოგიური პროცესით რომელიც მიმდინარეობს სისტემატიზებული მექანიზმ-დანადგარებით და რომელიც წარმოადგენს შემდეგი სახის მექანიზმების კომპლექსურ ერთობლიობას როგორებიცაა: საშრობი დოლი, შემრევში მინერალური ფხვნილის მიწოდების და ბიტუმის მიწოდების სისტემა. აღნიშნული მექანიზმები წარმოადგენენ მავნე ნივთიერებათა გამოყოფის ცალკეულ წყაროებს, ხოლო მათ მიერ მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში ხორციელდება ერთი ორგანიზებული წყაროდან (გ-1)-დან.

5.1.1 ემისიის გაანგარიშება ასფალტშემრევი დანადგარიდან (გ-1).

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [8] ემისია ასფალტშემრევიდან დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.1.1.1

ცხრილი 5.1.1.1 დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წ	წლიური ემისია, ტ/წე
კოდი	დასახელე		
2909	არაორგანული მტვერი	1.751	13.114

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 5.1.1.2.

ცხრილი 5.1.1.2. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

ოპერაციის	მუშაობის დრო,
-----------	---------------

ასფალტ-ბეტონის შემრევი მოწყობილობა ДС-18563 . საპროექტო წარმადობა 60ტ/სთ. საკვამლე მილის სიმაღლე 17.6 მ. დიამეტრი 0.79 მ. აირჰაეროვანი ნაკადის მოცულობა $V = 4.06 \text{ მ}^3/\text{წმ}$; ხაზობრივი სიჩქარე 8.3 მ/წმ; ტემპერატურა 50°C. მტვრის კონცენტრაცია გამწმენდის შესასვლელზე 215 გ/მ³. მტვერდამჭერის საერთო ეფექტურობა $\eta = 99.8\%$	2080
---	------

მტვრის ჯამური გამოყოფა ტექნოლოგიური დანადგარიდან გაიანგარიშება ფორმულით:

$$M_{\Pi} = 3600 \cdot 10^{-6} \cdot t \cdot V \cdot C, \text{ ტ/წელ};$$

სადაც:

t - ტექნოლოგიური დანადგარის მუშაობის დრო წელიწადში, სთ.

V - აირჰაეროვანი ნაკადის მოცულობა გამწმენდის შესასვლელზე მ³/წმ;

C - მტვრის კონცენტრაცია გამწმენდის შესასვლელზე, გ/მ³

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი გამოყოფა გაიანგარიშება ფორმულით:

$$G = V \cdot C, \text{ გ/წმ};$$

მტვრის კონცენტრაცია გამწმენდის გამოსასვლელზე გაიანგარიშება

ფორმულით: $C_1 = C \cdot (100 - \eta) \cdot 10^{-2}, \text{ გ/მ}^3$

სადაც: η - მტვერდამჭერის საერთო ეფექტურობა, %.

ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა მაქსიმალური ერთჯერადი და წლიური გამოყოფის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ.

ასფალტ-ბეტონის შემრევი მოწყობილობა ДС-18563 . საპროექტო წარმადობა 60ტ/სთ. საკვამლე მილის სიმაღლე 17,6 მ. დიამეტრი 0,79 მ. აირჰაეროვანი ნაკადის მოცულობა $V = 4,06 \text{ მ}^3/\text{წმ}$; ხაზობრივი სიჩქარე 8,3 მ/წმ; ტემპერატურა 50°C. მტვრის კონცენტრაცია გამწმენდის შესასვლელზე 210 გ/მ³. მტვერდამჭერის საერთო ეფექტურობა $\eta = 99.8\%$

$$M_{2909} = 3600 \cdot 10^{-6} \cdot 2080 \cdot 4.17 \cdot 210 \cdot (100 - 99,8) \cdot 10^{-2} = 13.114 \text{ ტ/წელ};$$

$$G_{2909} = 4.06 \cdot 215 \cdot (100 - 99,8) \cdot 10^{-2} = 1.7514 \text{ გ/წმ}.$$

ემისია ბუნებრივი აირის წვის დროს

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი

მახასიათებლები გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის № 435 დადგენილების მიხედვით, (დანართი 107). ემისიის საანგარიშო კოეფიციენტები (აზოტის დიოქსიდი-0.0036; ნახშირბადის ოქსიდი-0.0089) და ნახშირორჟანგი 2.0 - რომელიც არ ნორმირდება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად.

მოხმარებული ბუნებრივი აირის საწვავის წლიური რაოდენობა საწარმოს მონაცემებით შეადგენს 786.240 ათასი მ³/წელ. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა

გაფრქვევის რაოდენობრივი მაჩვენებლები იქნება შემდეგი:

აზოტის დიოქსიდი 301

$$G_{301} = 786.240 \text{ ათ.მ}^3/\text{წელ} \times 0.0036 = 2.830 \text{ ტ/წელ.}$$

ნახშირბადის ოქსიდი 337

$$G_{337} = 786.240 \text{ ათ.მ}^3/\text{წელ} \times 0.0089 = 6.998 \text{ ტ/წელ.}$$

ნახშირორჟანგი

$$G = 786.240 \text{ ათ.მ}^3/\text{წელ} \times 2.0 = 1572.480 \text{ ტ/წელ.}$$

აზოტის დიოქსიდი 301

$$M_{301} = 2.830 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 2080 \text{ სთ/წელ} = 0.378 \text{ გ/წმ.}$$

ნახშირბადის ოქსიდი 337

$$M_{337} = 6.998 \text{ ტ/წელ} \times 10^6 \div 3600 \div 2080 \text{ სთ/წელ} = 0.9345 \text{ გ/წმ.}$$

ცხრილი 5.1.1.3. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი მაჩვენებლები.

კოდი	ნივთიერების დასახელება	მასა (გ/წმ)	მასა (ტ)
301	აზოტის დიოქსიდი	0.37	2.830
337	ნახშირბადის ოქსიდი	0.934	6.998
000	ნახშირორჟანგი	-	1572.480

ემისიაბიტუმის მიწოდებისას შემრევში

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [9]

გაუწყლოებული და მუშა ტემპერატურამდე გახურებული ბითუმი დოზირებით მიეწოდება ამრევ აგრეგატში.

მოცემულია ცხრილში 5.1.1.4.

ცხრილი 5.1.1.4. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩასიათებლები

კოდი	დამაბინძურებელი ნივთიერება	მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
	დასახელება		
2754	ნაჯერი ნახშირწყალბადები C12-C19	0.075	5.616

ცხრილი: 5.1.1.5. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

ტექნოლოგიური დანადგარის ტიპი	ერთდროულობა
ბითუმი. წლიური მოხმარება 5616 ტ. სამუშაო დღეები წელ-ში-2080. დღეში სამუშაო საათები-8.	+

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ..

ნახშირწყალბადების წლიური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$M = B \cdot 0,001 \cdot (100 - \eta) / 100, \text{ ტ/წელ; სადაც } B - \text{წლიურად}$$

მომზადებული ბითუმის მასა, ტ/წელ;

0,001 – ნახშირწყალბადების კუთრი გაფრქვევა (1კგ 1 ტონა მზა ბითუმზე) ტ/ტ;

η - გაფრქვევის შემცირების %, თუ სისტემა აღჭურვილია ნახშირწყალბადების წვის კამერით

(მიიღება 20%-ის ფარგლებში).

ნახშირწყალბადების მაქსიმალური გაფრქვევა განისაზღვრება ფორმულით:

$$G = M \cdot 10^6 / (t \cdot n \cdot 3600), \text{ გ/წმ; სადაც } n - \text{მოწყობილობის}$$

მუშაობის დღეები წელ-ში.

T - მოწყობილობის მუშაობის დრო დღეში,

დამაბინძურებელ ნივთიერებათა წლიური და მაქსიმალური გაფრქვევის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ:

ბიტუმი

$$M_{2754} = 5616 \cdot 0,001 = 5.616 \text{ ტ/წელ;}$$

$$G_{2754} = 5.616 \cdot 10^6 / (8 \cdot 260 \cdot 3600) = 0.750 \text{ გ/წმ.}$$

ცხრილი: 5.1.1.6 ჯამურად გაფრქვეული ნივთიერებების რაოდენობა

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია (გ/წმ)	წლიური ემისია
კოდი	დასახელება		
301	აზოტის დიოქსიდი	0.378	2.830
337	ნახშირბადის ოქსიდი	0.93	6.998
2754	ნაჯერი ნახშირწყალბადები C ₁₂ -C ₁₉	0.7500	5.616
2909	არაორგანული მტვერი	1.751	13.114
-	ნახშირორქანგი	-	1572.480

5.1.2 ემისიის გაანგარიშება მინერალური ფხვნილის სილოსიდან (გ-2)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [10] (გვერდი 122).

მინერალური ფხვნილის მიწოდება ხდება პრაქტიკულად ჰერმეტიკულად, მიუხედავად ამისა გაფრქვევები ამ წყაროდან გაიანგარიშება გაწმენდის ეფექტურობის გათვალისწინებით. შესაბამისად მინერალური ფხვნილის რაოდენობა შეადგენს 12000 ტ წელიწადში

$$5616 \text{ ტ/წელ} * 0.8 \text{ კგ/ტ} = 4492.8 \text{ კგ/წელ} = 4.493 \text{ ტ/წელ};$$

$$4492.8 \text{ კგ/წელ} * 1000 / 2080 \text{ სთ/წელ} / 3600 \text{ წმ} = 0.600 \text{ გ/წმ};$$

$$\text{გაწმენდის საპასპორტო ეფექტურობა } 99,9 \%;$$

$$\text{გაფრქვევა} - 0.600 * (1 - 0,999) = 0.0006 \text{ გ/წმ};$$

$$\text{წლიური } 0.0006 \text{ გ/წმ} * 3600 \text{ წმ} * 2028 \text{ სთ/წელ} / 10^6 = 0.005 \text{ ტ/წელ}.$$

არაორგანული მტვერი 2909

$$M_{2909} = 0.0006 \text{ გ/წმ};$$

$$G_{2909} = 0.005 \text{ ტ/წელ}.$$

5.1.3. ემისიის გაანგარიშება ბიტუმის გადატვირთვისას და ბიტუმსაცავში შენახვისას (გ-3)

საწარმოს გააჩნია 300 ტონა მოცულობის ბეტონიზირებული ბიტუმსაცავი

გაანგარიშება შესრულებულია პროგრამა „АБЗ-Эксперт ვერსია 2“-ით.

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [11]

ცხრილი 5.1.3.1 გაანგარიშებული გაფრქვევები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური ემისია, გ/წმ	წლიური ემისია, ტ/წელ
კოდი	დასახელება		
2754	ნაჯერი ნახშირწყალბადები C ₁₂ -C ₁₉	0.1631236	0.249112

საანგარიშო ფორმულები, საწყისი მონაცემები

რეზერვუარის კონსტრუქცია: 300 ტონა მოცულობის ბეტონიზირებული ბიტუმსაცავი.

მავე ნივთიერების მაქსიმალური ერთჯერადი ემისია გამოითვლება ფორმულით:

$$G=0,445 \cdot P_t^{\max} \cdot m \cdot K_p^{\max} \cdot K_B \cdot V_{\text{ჩ}}^{\max} / 102 \cdot (273 + t_{\text{ж}}^{\max}) \text{ გ/წმ (1.61 МП)}$$

$$P_t^{\max} = P_{\text{кип}} \cdot \text{Exp}(\Delta H / R \cdot (1/T - 1/T_{\text{кип}})) = 6.45002$$

ммHg - ბიტუმის ორთქლის წნევა ტემპერატურაზე $t_{\text{ж}}^{\max}$,

სადაც:

$P_{\text{кип}} = 760$ ммHg - ატმოსფერული წნევაა

$R = 8.314$ Дж/(моль·град·К) - უნივერსალური აირადი მუდმივა

$\Delta H = 19,2 \cdot T_{\text{кип}} \cdot (1,91 + \lg T_{\text{кип}}) = 19,2 \cdot 553 \cdot (1,91 + \lg(553)) = 49400,77435$ კჯ/კგ - აორთქლების მოლური სითბო

$T_{\text{кип}} = 553^{\circ}\text{K} = 280^{\circ}\text{C}$ - ბიტუმის დუდილის ტემპერატურა

$m = 187$ - ის მოლეკულური მასა (მიღებულია $T_{\text{кип}} = 280^{\circ}\text{C}$ -ზე)

$K_p^{\max} = 0,97$ - ცდით მიღებული კოეფიციენტი 200-400მ³ რეზერვუარისთვის

$K_B = 1$ - ცდით მიღებული კოეფიციენტი $P_t^{\max} = 6,45002$ ммHg

$V_{\text{ჩ}}^{\max} = 12,00$ მ³/სთ - რეზერვუარიდან გამოდევნილი აირ-ჰაეროვანი ნარევის მაქსიმალური მოცულობა მისი შევსებისას

$t_{\text{ж}}^{\max} = 110^{\circ}\text{C}$ - შენახვის მაქსიმალური ტემპერატურა

მავე ნივთიერების წლიური ემისია გამოითვლება ფორმულით:

$$M = 0.160 \cdot (P_t^{\max} \cdot K_B + P_t^{\min}) \cdot m \cdot K_p^{\text{CP}} \cdot K_{\text{ОБ}} \cdot B / 104 \cdot p_{\text{ж}} \cdot (546 + t_{\text{ж}}^{\max} + t_{\text{ж}}^{\min})$$

ტ/წელ (1.62 МП) $t_{\text{ж}}^{\min} = 70^{\circ}\text{C}$ - შენახვის ტემპერატურა (მაქსიმალური)

$P_t^{\min} = 1,05640$ ммHg - ის ორთქლის წნევა $t_{\text{ж}}^{\min}$ -ზე

$K_p^{\text{CP}} = 0.68$ - ცდით მიღებული კოეფიციენტი 200-400მ³ რეზერვუარისთვის

$K_{\text{ОБ}} = 1.5$ - ბრუნვის კოეფიციენტი 4.2 МП-ის მიხედვით

$B = 5616$ ტ/წელ - ის წლიური ბრუნვა

$p_{\text{ж}} = 0.95$ ტ/მ³ - ბიტუმის სიმკვრივე

5.1.4. ემისიის გაანგარიშება ბიტუმის გამაცხელებელი ღუმელიდან (გ-4)

ბიტუმსაცავში ბიტუმის გაცხელებისათვის სითბოს წყაროდ გამოიყენება ბუნებრივი აირი, რომლის ხარჯი შეადგენს 24 მ³/სთ-ს. ბიტუმსაცავ-სახარში დანადგარის მუშაობის ხანგრძლივობის (2080 სთ) გავითვალისწინებთ, ბუნებრივი აირის წლიური ხარჯი ტოლი იქნება 49920 მ³-ის. 1000 მ³ ბუნებრივი აირის წვისას გამოიყოფა 0.0036 ტ აზოტის დიოქსიდი, 0.0089 ტ ნახშირჟანგი და 2.0 ტონა ნახშირორჟანგი, ამიტომ მათი წლიური გაფრქვევები ტოლი იქნება:

$$G_{\text{NO}_2} = 0.0036 \times 49.920 = 0.180 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{CO} = 0.0089 \times 49.920 = 0.444 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{CO2} = 2.0 \times 49.920 = 99.840 \text{ ტ/წელი}.$$

ხოლო წამური გაფრქვევები ტოლი იქნება:

$$M_{NO2} = 0.180 \times 10^6 / (2080 \times 3600) = 0.024 \text{ გ/წმ};$$

$$M_{CO} = 0.444 \times 10^6 / (2080 \times 3600) = 0.05933 \text{ გ/წმ}.$$

მილის სიმაღლე $h=4.0$ მ, დიამეტრი $d=0.2$ მ.

5.1.5. ემისიის გაანგარიშება ბიტუმის სახარში რეზერვუარიდან (გ-5)

ბიტუმსაცავ-სახარშ რეზერვუარიდან წლიურად გაფრქვეულ ნახშირწყალბადების რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$G_{ნახ.წყ} = V_{ბიტ.} \times K_{ნახ.წყ} \text{ ტ/წელი};$$

სადაც,

$V_{ბიტ.}$ – რეზერვუარში წლიურად მოსახარში ბიტუმის რაოდენობაა და ტოლია 5616 ტონის;

$K_{ნახ.წყ}$ – რეზერვუარიდან ნახშირწყალბადების ხვედრითი გაფრქვევაა და მიიღება 1 კგ-ის ტოლად 1 ტონა მოსახარშ ბიტუმზე.

ზემოაღნიშნულ მონაცემების გათვალისწინებით გაფრქვეულ ნახშირწყალბადების რაოდენობა ტოლი იქნება:

$$G_{ნახ.წყ} = 5616 \times 1 / 10^3 = 5616 \text{ ტ/წელი};$$

$$M_{ნახ.წყ} = 5616 \times 10^6 / (2080 \times 3600) = 0.7500 \text{ გ/წმ}.$$

ბიტუმსაცავ-სახარშ დანადგარში სითბოს წყაროდ გამოიყენება ბუნებრივი აირი, რომლის ხარჯი შეადგენს 25 მ³/სთ-ს. ბიტუმსაცავ-სახარში დანადგარის მუშაობის ხანგრძლივობის (2080 სთ) გავითვალისწინებთ, ბუნებრივი აირის წლიური ხარჯი ტოლი იქნება 52000 მ³-ის. 1000 მ³ ბუნებრივი აირის წვისას გამოიყოფა 0.0036 ტ აზოტის დიოქსიდი, 0.0089 ტ ნახშირჟანგი და 2.0 ტონა ნახშირორჟანგი, ამიტომ მათი წლიური გაფრქვევები ტოლი იქნება:

$$G_{NO2} = 0.0036 \times 52.000 = 0.187 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{CO} = 0.0089 \times 52.000 = 0.463 \text{ ტ/წელი};$$

$$G_{CO2} = 2.0 \times 52.000 = 104.000 \text{ ტ/წელი}.$$

ხოლო წამური გაფრქვევები ტოლი იქნება:

$$M_{NO2} = 0.187 \times 10^6 / (2080 \times 3600) = 0.025 \text{ გ/წმ};$$

$$M_{CO} = 0.463 \times 10^6 / (2080 \times 3600) = 0.0618 \text{ გ/წმ}.$$

მილის სიმაღლე $h=7.0$ მ, დიამეტრი $d=0.2$ მ.

5.1.6. ემისიის გაანგარიშება ბიტუმის ავტოცისტერნებში გაცხელებისას (გ-6, გ-7, გ-8)

საწარმოში ერთდროულად შესაძლებელია სამი ბიტუმშიდის გაცხელება (თითოეულ მანქანას აცხელებს 3 ერთეული ბუნებრივი აირის სანთურა) ბუნებრივ აირის ხარჯი - 24 მ³/სთ- 1 ავტომანქანის გაცხელება (8 სთ)

თითოეულ ავტოცისტერნაში ბიტუმის გაცხელებისას აორთქლების ხარჯზე გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{ნახ.წყ}} = 2.52 \times V_{\text{ბიტ}} \times Ps(38) \times M_{\text{მოლ}}(K_{5\text{გ}} + K_{5\text{თ}}) \times K_6 \times K_7(1-\eta)/10^6 \times 3600 \text{ გ/წმ;}$$

სადაც,

K_6 – კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია ბიტუმის ნაჯერი ორთქლის წნევასა და საცავის ბრუნვადობაზე;

K_7 – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს საცავის ტექნიკურ აღჭურვილობას და ექსპლუატაციის რეჟიმს;

η – კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს საცავის აირდამჭერ მოწყობილობის ეფექტურობას (0.70 -0.90). აირდამჭერი მოწყობილობის უქონლობის შემთხვევაში $\eta = 0$.

ფორმულაში შემავალი დანარჩენი სიდიდეების განმარტებანი და მნიშვნელობები წარმოდგენილია ზევით.

K_6 კოეფიციენტი აიღება ბიტუმის ნაჯერი ორთქლის წნევის $Ps(38) = 0.175$ გპა და საცავის წლიური ბრუნვადობის მიხედვით. საცავის წლიური ბრუნვადობა, რომელიც წარმოადგენს საცავში წლიურად მოხვედრილი ბიტუმის რაოდენობის ფარდობას საცავის მოცულობასთან, ტოლია $5616/155 \times 0.95 = 36.2$ მაშინ $K_6 = 1.21$; $K_7 = 1.1$.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გაფრქვეულ ნახშირწყალბადების რაოდენობა თითოეული ავტოცისტერნიდან ტოლი იქნება:

$$M_{\text{ნახ.წყ}} = 0.0011 \text{ გ/წმ;}$$

$$G_{\text{ნახ.წყ}} = 0.0044 \text{ ტ/წელი.}$$

თითოეულ ავტოცისტერნებში ბიტუმის გაცხელებისათვის სითბოს წყაროდ გამოიყენება ბუნებრივი აირი, რომლის ხარჯი შეადგენს 24 მ³/სთ-ს. ბიტუმსაცავ-სახარში დანადგარის მუშაობის ხანგრძლივობის (2080 სთ) გავითვალისწინებთ, ბუნებრივი აირის წლიური ხარჯი ტოლი იქნება 49920 მ³-ის. 1000 მ³ ბუნებრივი აირის წვისას გამოიყოფა 0.0036 ტ აზოტის დიოქსიდი, 0.0089 ტ ნახშირჟანგი და 2.0 ტონა ნახშირორჟანგი, ამიტომ მათი წლიური გაფრქვევები ტოლი იქნება:

$$G_{\text{NO}_2} = 0.0036 \times 49.920 = 0.180 \text{ ტ/წელი;}$$

$$G_{\text{CO}} = 0.0089 \times 49.920 = 0.444 \text{ ტ/წელი;}$$

$$G_{\text{CO}_2} = 2.0 \times 49.920 = 99.840 \text{ ტ/წელი.}$$

ხოლო წამური გაფრქვევები ტოლი იქნება:

$$M_{\text{NO}_2} = 0.180 \times 10^6 / (2080 \times 3600) = 0.024 \text{ გ/წმ;}$$

$$M_{CO} = 0.444 \times 10^6 / (2080 \times 3600) = 0.05933 \text{ გ/წმ.}$$

მილის სიმაღლე $h=4.0$ მ, დიამეტრი $d=0.5$ მ..

5.1.7 ემისიის გაანგარიშება მიმღები ბუნკერიდან (გ-9)

გაანგარიშება შესრულებულია შემდეგი მეთოდური მითითებების თანახმად [12]

ფხვიერი მასალების გადატვირთვა ხორციელდება ჩამტვირთავი სახელოს გარეშე. ადგილობრივი პირობები - საწყობი დახურულია ოთხივე მხრიდან. ($K_4 = 0.005$). მასალის გადმოყრის სიმაღლე-1.0მ. ($B = 0.5$) ზალპური ჩამოცლა ავტოთვითმცლელიდან ხორციელდება 10.5 და მეტი ოდენობით. ($K_9 = 0.1$). ქარის საანგარიშო სიჩქარეები, მ/წმ: 0.5 ($K_3 = 1$); 4.56 მ/წმ: ($K_3 = 1.2$). ქარის საშუალო წლიური სიჩქარე, მ/წმ: 1.3 მ/წმ ($K_3 = 1$).

დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები მოცემულია ცხრილში 5.1.7.1.

ცხრილი 5.1.7.1. დამაბინძურებელ ნივთიერებათა ემისიის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები

დამაბინძურებელი ნივთიერება		მაქსიმალური	წლიური
კოდი	დასახელება	ემისია, გ/წმ	ემისია, ტ/წელ
2909	არაორგანული მტვერი	0.000106	0.001

საწყისი მონაცემები დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის გაანგარიშებისათვის მოცემულია ცხრილში 5.1.7.2.

ცხრილი 5.1.7.2. გაანგარიშების საწყისი მონაცემები

მასალა	პარამეტრი
ფრაქციონირებული მასალა(ღორღი)	გადატვირთული მასალის რ-ბა: $G_{\text{ფ}} = 26.5$ ტ/სთ; $G_{\text{თბ}} = 55000$ ტ/წელ. მტვრის ფრაქციის მასური წილი მასალაში: $K_1 = 0.04$. მტვრის წილი, რომელიც გადადის აეროზოლში: $K_2 = 0.02$. ტენიანობა 10%-მდე ($K_5 = 0.1$). მასალის ზომები 10-5 მმ ($K_7 = 0.6$).

მიღებული პირობითი აღნიშვნები, საანგარიშო ფორმულები, აგრეთვე საანგარიშო პარამეტრები და მათი დასაბუთება მოცემულია ქვემოთ:

მტვრის მაქსიმალური ერთჯერადი ემისიის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:

$$MGP = K1 \cdot K2 \cdot K3 \cdot K4 \cdot K5 \cdot K7 \cdot K8 \cdot K9 \cdot B \cdot G_{\text{г}} \cdot 10^6 / 3600, \text{ გ/წმ}$$

სადაც K1 -მტვრის ფრაქციის (0-200მკმ) წონითი წილი მასალაში;

